ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის

გეოგრაფიის პროგრამა

მარიამ შავდათუაშვილი

საბაკალავრო ნაშრომი თემაზე:

იაპონიის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ-ს ასოცირებული

პროფესორი ვალერიან მელიქიძე

თბილისი

2023

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 4

თავი 1- იაპონიის ორგანიზაცია და მართვა 5

თავი 2- იაპონიის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება.....9

თავი 3 - მოსახლეობა.....13

თავი 4 - მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა.....19

თავი 5 - მეურნეობის სექტორული ანალიზი.....23

თავი 6 - იაპონიის ადგილი გლობალურ სისტემებსა და სტრუქტურაში.....31

თავი 7 - გამოყენებული ლიტერატურა.....35

ანოტაცია

იაპონია მნიშვნელოვან რეგიონალურ ძალას წარმოადგენს და ეკონომიკური თვალსაზრისითაც საკმაოდ ძლიერ აქტორად გვევლინება. მანამ, სანამ ის მოაღწევდა განვითარების მოცემულ წერტილს, მან საკმაოდ დიდი ისტორია გამოიარა, დაწყებული იზოლაციით და დამთავრებული მსოფლიოს მასშტაბით მოკავშირეების გაჩენით. აშშ-ის დახმარებით იაპონიამ საზღვრები გახსნა და კავშირები დაამყარა ქვეყნებთან, რამაც მას მოდერნიზაციისკენ მისცა ბიძგი. მან გააფართოვა თავისი გავლენის არეალები და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, რომელსაც შეეძლო დაემარცხებინა ჩინეთი და რუსეთი. მეორე მსოფლიო ომის დროს მან თავდასხმა განახორციელა აშშ-ზე, თუმცა დამარცხების შემდეგ, როდესაც იაპონია კვლავ აყვავდა და ფეხზე წამოდგა, მან ამ შემთხვევაშიც იქცა აშშ-ის ძლიერ მოკავშირედ.

გარდა ამისა, იაპონიას არაერთხელ დაატყდა თავს ბუნებრივი კატასტროფები, რომლებიც ქვეყანას მიწასთან ასწორებს და ანადგურებს. ამ მხრივ, ახლო წარსულში მომხდარი 2011 წლის მიწისძვრა და ცუნამი, რომელმაც მთელი მსოფლიო შესძრა. ამ უდიდესმა კატასტროფამ იმსხვერპლა 13 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. აგრეთვე, რამდენიმე ათასი ადამიანი მძიმედ დაშავდა, რამაც მათი შემდგომ წლებში დაღუპვა გამოიწვია. მნიშვნელოვანი იყო, ასევე, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაზიანება, რასაც სჭირდებოდა გარკვეული ფინანსური სახსრები აღსადგენად და ჩვეული მდგომარეობის დასაბრუნებლად. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრამ და ცუნამმა გამოიწვია რამდენიმე ატომური ელექტროსადგურისთვის გარკვეული ზიანის მიყენება, რამაც თავის მხრივ რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყოფით დააზიანა და დიდი საფრთხე შეუქმნა გარემოს.

შესავალი

იაპონია, ოფიციალურად კი - იაპონიის სახელმწიფო, მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში, წყნარი ოკეანის აუზში და წარმოადგენს ათასობით კუნძულისგან შემდგარ არქიპელაგს, რომელთაგან ოთხი კუნძული- ჰოკაიდო, ჰონსიუ, სიკოკუ და კიუსიუ- ყველაზე დიდია და ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 97%-ს მოიცავს. ქვეყნის ფართობი შეადგენს 364,555 კვ.კმ.-ს, ე.ი. ზომით კალიფორნიას ცოტა ჩამორჩება. მისი დედაქალაქია ტოკიო, რომელსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ტურისტი სტუმრობს. ქვეყნის კოორდინატებია ჩ.გ. 36 00^0 , ა.გ. 138 00^0. უმაღლესი მწვერვალია ფუძიამა, რომლის უმაღლესი წერტილი 3776 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. სანაპირო ზოლის სიგრძე 29,751 კმ-ია.

წყარო: Worldometers.info/ https://www.worldometers.info/maps/japan-map/

აღსანიშნავია, რომ იაპონიას სახმელეთო მეზობლები არ ჰყავს, თუმცა ის თავისი ტერიტორიული წყლებით- ოხოტის, იაპონიისა და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებით- არის დაკავშირებული აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან, კერძოდ, რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეასთან. კლიმატი სამხრეთით არსებული ტროპიკულიდან ჩრდილოეთით გრილი ჰავას შორის იცვლება. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2000 მმ-ს შეადგენს. რელიეფი ძირითადად მთიანია.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ იაპონია მდებარეობს სეისმურად ერთ-ერთ საკმაოდ აქტიურ სარტყელში - წყნაროკეანურ ცეცხლოვან რკალში, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ხშირად ქვეყანას. აქედან გამომდინარე, სწორედ იაპონია აფიქსირებს მსოფლიოში ყველაზე მეტ მიწისძვრას ერთი წლის განმავლობაში. ამას ემატება ის ფაქტი, რომ იაპონიას გარს აკრავს ზღვები, წყნარი ოკეანე და წყალქვეშა ბიძგების დროს წარმოიქმნება ცუნამი, რომელიც მიწასთან ასწორებს ყველაფერს რაც გზად ხვდება.

თავი 1: იაპონიის ორგანიზება და მართვა.

იაპონია ერთ-ერთი უნიკალური და საინტერესო კულტურის მქონე სახელმწიფოა, რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია გააჩნია. იაპონელები მიიჩნევენ, რომ ისინი სუფთა სისხლის მქონე ერთი ტომის შთამომავლები არიან, თუმცა მათი წინაპრები რეალურად წყნარი ოკეანის სხვადასხვა ადგილიდან იყვნენ წარმოშობით. იაპონია ტერიტორიულად ყველაზე ახლოს კორეასთან და ჩინეთთანაა, რამაც მის კულტურაზე გარდაუვალი ასახვა ჰპოვა. კორეის ნახევარკუნძული უძველესი დროიდან წარმოადგენდა დამაკავშირებელ ხიდს იაპონიასა და ჩინეთს შორის, თუმცა შემდგომ პერიოდში ეს ორი უკანასკნელი ქვეყანა ერთმანეთს ზღვის დახმარებით დაუკავშირდა.

იაპონიის ტერიტორიაზე თავდაპირველად დასახლდნენ აინუს ტომის ადამიანები, რომლებიც შემდეგ წარმოშობილმა იაპონელებმა ჩაანაცვლეს. აინუს ტომი მისდევდა მიწათმოქმედებას, ნადირობასა და შემგროვებლობას, ხოლო

შემდეგ უკვე იაპონელებმა მათი საქმიანობა მიმართეს ბრძოლისკენ და მებრძოლი ეთოსი ჩამოაყალიბეს. იაპონელებმა თავის ტერიტორიას „ნიჰონი“ დაარქვეს, გამომდინარე იქიდან, რომ მათი რწმენით ყველა იაპონელი მზის ქალღმერთის შვილია. დღესაც იაპონიას „ამომავალი მზის ქვეყანას“ უწოდებენ იმის გამო, რომ მზე პირველად სწორედ იაპონიაში ამოდის.

იანუს ტომის გავრცელების არეალები



წყარო: tofugu.com/The Ainu. November 8, 2013. Sarah W. https://www.tofugu.com/japan/ainu-japan/

აგრეთვე, იაპონია იმის გამო, რომ ის კუნძულოვანი ქვეყანა იყო, ძირითად შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებისგან იზოლაციაში იმყოფებოდა. გარკვეული თვალსაზრისით, ეს კარჩაკეტილობა ცუდი იყო მისთვის, რადგან იზოლაცია ხელს უშლის განვითარებას და სხვა ქვეყნებთან კომუნიკაციის დამყარებას, თუმცა მონეტას ყოველთვის აქვს ორი მხარე, მათ შორის, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ვინაიდან იაპონიის კუნძულოვან ქვეყნად ყოფნა ხელს უწყობდა დამპყრობლების მოგერიებას და მისი ტერიტორიული წყლების წყალობით ის ყოველთვის ახერხებდა, თავიდან აეცილებინა ქვეყანაზე მტრის თავდასხმა და დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

მიუხედავად იზოლაციისა, იაპონია მაინც ახერხებდა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას და ხელშეკრულებების დადებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში წყვეტდა „არასასურველ“ კავშირებს.

თავდაპირველად, პორტუგალიელები, შემდეგ ესპანელები და ჰოლანდიელები იყვნენ ევროპის კონტინენტიდან პირველები, რომლებმაც შეძლეს იაპონიაში ჩასულიყვნენ. მათ შორის იყვნენ ვაჭრები და კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება, რამაც იაპონიის მმართველების შეშფოთება გამოიწვია. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქრისტიანობის გავრცელება ნიშნავდა უცხო სახელმწიფოს კლანჭებში მოხვედრას, ამიტომ იაპონიაში ქრისტიანობა აიკრძალა.

იაპონიის მმართველობის ფორმა საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქიაა, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფოსი. ეს ორი სახელმწიფო ერთი შეხედვით თითქოს ჰგავს კიდეც ერთმანეთს. ორივე მათგანს მმართველობის ერთნაირი ფორმა აქვს, ორივე კუნძულოვანი ქვეყანაა და ორივე მათგანმა კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური გავლენა მეზობელი სახელმიწიფოებისგან მიიღეს, თუმცა მათ შორის განსხვავებაც საკმაოდ დიდია, რაც გამოიხატება ქვეყნის იზოლაციასა და გახსნილობაში. მაგალითად, ბრიტანეთმა თავიდანვე ინდუსტრიული საზღვაო ძალები ჩამოაყალიბა და შესძლო, შეექმნა საკმაოდ ძლიერი საზღვაო ფლოტები. ის ყოველთვის ცდილობდა, განევითარებინა ვაჭრობა; იკვლევდა და ეძებდა ახალ მიწებს; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კოლონიზაციას ახდენდა და ძირითად შემთხვევაში მნიშვნელოვან ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნეოდა იგი. აგრეთვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპა ფრაგმენტირებული იყო პატარა კონკურენტულ სახელმწიფოებად და ინგლისს ნაკლებად ესხმოდნენ თავს. თუმცა იაპონია ჩინეთის პირისპირ აღმოჩნდა. აშკარა იყო, რომ იაპონია თავდასაცავად იზოლაციას მიმართავდა. აზიის ქვეყნების მონარქები არ იყვნენ ჩართულნი კონკურენტულ ექსპანსიებში, ხოლო ევროპელი მონარქები აქტიურად ეძიებდნენ ახალ მიწებს, რაც მათ კიდევ უფრო მეტ შემართებას აძლევდა.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, იაპონია მოიცავს 9 რეგიონს, რომელიც დაყოფილია 47 პრეფექტურად. ქვეყანას გააჩნია სამოქალაქო სამართლის სისტემა, რომელიც ემყარება გერმანულ მოდელს და ამასთანავე, ასახავს ანგლო-ამერიკულ გავლენასაც. იაპონიის ბოლო კონსტიტუცია მიღებულია 1946 წელს, ხოლო ძალაში 1947 წლის 3 მაისს შევიდა.

იაპონიის რეგიონები და პრეფექტურები



წყარო: EU-Japan Centre for Industrial Cooperation. Regions and Prefectures.

განვითარებისა და მოდერნიზაციისკენ სწრაფვა იწყება მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც იაპონელებმა გადაწყვიტეს, დასავლეთის ხელში ჩავარდნა

თავიდან აეცილებინათ „მდიდარი ერისა და ძლიერი არმიის“ შექმნით. მათ ამ გეგმას ხორცი შეასხეს და სულ მალე, იაპონიამ განვითარების თანამედროვე მოდელს მიაღწია.

დასავლურ მოდელზე გადასვლას მოჰყვა ის, რომ იაპონია დღეს პოსტ-ინდუსტრიული სახელმწიფოა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე დგას.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დასავლური მოდელის ტრანპლანტაცია სხვა ქვეყნებში ძირითად შემთხვევაში, არ ამართლებს, თუმცა რა თქმა უნდა გამონაკლისებიც არსებობს: იაპონია, ისრაელი და სამხრეთ კორეა. მათ სასწაულებრივად მოახერხეს ამ მოდელზე მორგება და ქვეყნის მოდერნიზაციის კურსის აღმავალი ტემპით გაგრძელება. აფრიკის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მათაც სცადეს ამერიკული მოდელის ტრანსპლანტაცია თავიანთ ქვეყნებში, მაგრამ უშედეგოდ, ვინაიდან საჭიროა ეს მოდელი თავად ამ ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განვითარების უშუალო შედეგს წარმოადგენდეს და არა სხვა ქვეყნის მიერ განვლილი განვითარების გზას. ყველა ქვეყანის გზა ინდივიდუალური და უნიკალურია, ამიტომ სხვა ქვეყნებისგან მათი გადმოკოპირება ხშირად დროის ფუჭად დაკარგვას გულისხმობს.

თავი 2: იაპონიის ბუნებრივი რესურსებისა და პირობების სამეურნეო შეფასება

ბუნებრივ რესურსებს ადამიანთა საზოგადოება კაცობრიობის დასაბამიდან პერმანენტულად იყენებდა, ხოლო ბუნებრივი პირობები იყო ის, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა ადამიანებზე, თუმცა ბუნებრივი რესურსებისგან განსხვავებით მათი გამოყენება შეუძლებელი იყო საზოგადოების მიერ.

ბუნებრივი რესურსების მარაგი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია. ამიტომ ქვეყნები, რომლებსაც სწორედ განსხვავებული ბუნებრივი რესურსები

გააჩნიათ, ანხორციელებენ გაცვლას, რაც ყველა მონაწილე მხარისთვის მომგებიანია.

იაპონია ფლობს გარკვეული სახის ბუნებრივ რესურსებს, თუმცა ერთ-ერთი დიდი იმპორტიორია მსოფლიოში, რადგან მას საჭირო მინერალური რესურსები არ გააჩნია ან მის უმნიშვნელო რაოდენობას ფლობს.

ქვანახშირი მცირე რაოდენობით გვხვდება ჰოკაიდოსა და ჰონსიუს ტერიტორიაზე, მაგრამ ხარისხი დაბალია და მოპოვებაც რთულია. სამაგიეროდ, მისი ტერიტორიის დაახლოებით 68% ტყეს უკავია, რაც მას საშუალებას აძლევს, რომ აწარმოოს ხე-ტყის ექსპორტი სხვა ქვეყნებში. ასევე, ის დასაქმების შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობას. სახელმწიფოში გაბატონებული კლიმატური პირობები ხელს უწყობს ძირითადად ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეულობის არსებობას.

იაპონიის ტყის რესურსების გავრცელების სიხშირე



წყარო: Statistics Japan. Prefecture comparisons, Rate of Forest Land.

ჰონსიუს ნაპირზე ვხვდებით რამდენიმე ჭაბურღილს ნავთობის მცირე საბადოებთან. წარმოებული ლოთონური წიაღისეულია: თუთია, კალა, ოქრო და სხვა. იაპონია გასულ საუკუნეში აწარმოებდა სპილენძს, თუმცა მარაგი საკმაოდ შემცირდა. აგრეთვე, იაპონიაში მოიპოვება ერთ-ერთი საკმაოდ ძვირადღირებული ლითონი -ტიტანიუმი, რომლის უნიკალური თვისება მისი წონისა და სიძლიერის

ყველაზე დიდ თანაფარდობაშია. ტიტანიუმი მისი ამ განსაკუთრებული თვისების გამო გამოიყენება სარაკეტო და კოსმოსური აღჭურვილობის დასამზადებლად, ასევე, რეაქტიულ ძრავებში.

წყარო: Map of World, Map of Natural Resources in Japan.

იაპონია რა თქმა უნდა ფლობს სხვა მადნების გარკვეულ მარაგს, როგორიცაა ტყვია, ბოქსიტი, რკინა და სხვ., თუმცა ისინი იმდენად უმნიშვნელო და ცოტაა, რომ მათი მოპოვება არ ხორციელდება.

ქვეყნის დიდი ნაწილი მთიანი რელიეფით ხასიათდება, რაც აგრარული მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს, ვინაიდან საჭირო ბუნებრივი პირობები (შესაბამისი რელიეფი, ნიადაგი) არ არსებობს. ამ მთიან

ტერიტორიაზე საკმაოდ კარგად მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი და სხვა პარკოსანი მცენარეები, მაგრამ ეს რაოდენობა მოსახლეობის საკმაოდ მცირე რაოდენობას თუ დააკმაყოფილებს. ამის მიუხედავად, იაპონია საკმაოდ კარგად არის განვითარებული ტექნოლოგიური თვალსაზრისით და მას საექსპორტო პროდუქტად იყენებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წყლის რესურსებიც, რომლსაც იაპონელები ნამდვილად ფლობენ და ენერგეტიკის ძირითად წყაროდ აქცევენ მას. ასევე, ქვეყანა ფლობს სასმელ წყალსაც. იაპონია, როგორც უკვე ვახსენე ზემოთ, მთიანი ქვეყანაა, ამიტომ მოცემულ ტერიტორიაზე ხშირად ე.წ. მთის მდინარეებს, ჩანჩქერებს ვხვდებით, რომლებიც მაღალი სიმძლავრით და ენერგიულობით გამოირჩევიან. ასეთი მდინარეები ძალიან ხელსაყრელია ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად. მათი მშენებლობა კი ქვეყნის ენერგეტიკას უზრუნველყოფს, მაგრამ ჰესების მშენებლობას თავისი ნეგატიური შედეგებიც აქვს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესება, ნიადაგის ცვლილება და ეროზიული პროცესების გააქტიურება, დიდი ფართობის ტერიტორიის დაკავება, არსებული კულტურული ძეგლების ხავსით დაფარვა და დაზიანება და ა.შ. ეს ჩამონათვალიც საჭიროებს განხილვას, რათა არასასურველი შედეგები მეტ-ნაკლებად თავიდან იქნას აცილებული.

აღსანიშნავია, რომ იაპონიას გარს აკრავს ზღვები და წყნარი ოკეანე, რაც განაპირობებს ზღვის თევზებით ექსპორტის განვითარებასაც. ამასთან ერთად, მოსახლეობა დაკავებულია ვეშაპებზე ნადირობითაც სამხრეთის ოკეანესა და წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილებში. ამის გამო, მას არაერთხელ ჰქონდა კონფლიქტი ვეშაპების დამცავ ორგანიზაციებსა თუ სახელმწიფოებთან. მიუხედავად კონფლიქტებისა, იაპონია ირწმუნება, რომ ვეშაპები მას სამეცნიერო კვლევების მიზნით სჭირდება.

ამრიგად, იაპონია არ არის წიაღისეული რესურსებით მდიდარი ქვეყანა, ე.ი. აღუდგენელი ბუნებრივი რესურსები მცირე რაოდენობით გვხვდება, ხოლო

აღდგენადი ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა წყალი და ხე-ტყე ქვეყნის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს და მისთვის შემოსავლის წყაროა.

მცირე ტერიტორიის მიუხედავად, იაპონიის ფლორა და ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია. ქვეყანა ნალექების მაღალი რაოდენობით, რელიეფის სირთულით, ვულკანებითა და მიწისძვრებით, ტერიტორიის სიგრძობრივი განფენილობით და სხვა მრავალი პარამეტრით ხასიათდება, რომელიც აყალიბებს მისთვის უნიკალურ ბიომრავალფეროვნებასა და ჰაბიტატს.

ცხოველთა დაახლოებით 90 000 სახეობაა დაფიქსირებული, რომლებიც ქვეყნის თითქმის ყველა წერტილში ბინადრობენ. აგრეთვე, სანაპიროებზე ვხვდებით გადამფრენ ფრინველებსაც, რომლებიც აქ იზამთრებენ და სხვადასხვა ჭიებით იკვებებიან. როგორც უკვე აღვნიშნე, იაპონია მთიანი ქვეყანაა, ამიტომ ფლორა და ფაუნა სიმაღლის მატებასთან ერთად იცვლება. სიკოკუსა და კიუსიუს ტერიტორიაზე ძირითადად მარადმწვანე მცენარეულობა სჭარბობს.

ჰოკაიდოს ბიომრავალფეროვნება სხვა კუნძულებთან შედარებით მეტი სიუხვით და სიმდიდრით ხასიათდება. აქ ვხვდებით წიწვოვან მცენარეებს შედარებით მაღალ მთებში, ხოლო შერეულ მცენარეულ საფარს (მუხა, ცაცხვი, ნეკერჩხალი და სხვა) - უფრო დაბალ ტერიტორიებზე. ასევე, ცხოველებიდან აღსანიშნავია მურა დათვი, მელა, მგელი და სხვა; ხოლო ზამთარში ჩრდილოეთიდან ანხორციელებენ მიგრაციას სელაპები, არწივები და სხვა სახეობები. თევზების სახეობებიდან - კალმარი და რვაფეხა, იაპონური მტკნარი წყლის გველთევზა, ორაგული, სკუმბრია და ა.შ.

თავი 3 : მოსახლეობა

Worldometer-ის მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წელს იაპონიის მოსახლეობა შეადგენს 125, 372, 797 ადამიანს. მოსახლეობის რაოდენობით იაპონია მსოფლიოს ქვეყნებს შორის მე-11 ადგილს იკავებს. დაახლოებით 1950 წლისთვის იაპონიის საშუალო წლიური მატება საკმაოდ მაღალი იყო და შეადგენდა 1.83%, თუმცა

შემდეგ 1975 წლისთვის ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1.46%-ს, ხოლო მომდევნო წლებში ის ნელნელა იწყებს კლებას, ხდება უარყოფითი და 2023 წელს



წარმოადგენს - 0.41%-ს.

წყარო: The World Bank, Population growth (annual %)-Japan.

აქედან გამომდინარე, ადვილი სათქმელია, რომ იაპონიის მოსახლეობა კლებას განიცდის. მაგალითად, თუ იაპონიას შევადარებთ ევროპის ქვეყანებს, სადაც საშუალო წლიური მატება ნულის ტოლია ან უარყოფითია, თუმცა მოსახლეობა მატებას განიცდის მაინც, აღმოვაჩენთ, რომ ქვეყანაში აქტიურად ჩადიან იმიგრანტები სხვადასხვა ქვეყნიდან და მოსახლეობაც მათ ხარჯზე იზრდება. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელებს „უცხო“ ხალხის მიმართ დისკრიმინაცია ახასიათებთ. პერუში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში დაბადებული იაპონელიც კი უცხოა მათთვის. თუმცა, ქვეყანაში ამის მიუხედავად მაინც ხდება იმიგრანტთა შესვლა, რაც გარკვეულწილად აისახება კიდეც იაპონიის მოსახლეობის რაოდენობაზე.



წყარო: Worldometer, Population, Japan Population.

რაც შეეხება ეთნიკურ ჯგუფებს, იაპონიის მოსახლეობის ძირითად ნაწილს,

97.9%-ს, იაპონელები შეადგენენ; 0.6%-ს ჩინელები; 0.4%-ს კორეელები, ხოლო დანარჩენი 1.1% არიან ვიეტნამელები, ფილიპინელები, ბრაზილიელები.

ბუნებრივი მოძრაობა შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციეტებისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ სიკვდილიანობის კოეფიციენტი, რომელიც 2023 წლის მონაცემებით შეადგენს 11.64‰-ს (ყოველ 1000 მოსახლეზე), აჭარბებს შობადობის კოეფიციენტს, რომელიც წარმოადგენს 6.9‰-ს (ყოველ 1000 მოსახლეზე). აქედან გამომდინარე, ბუნებრივი მოძრაობა იაპონიაში უარყოფითია:

ბუნებრივი მოძრაობა= შ.კ. - ს.კ. = 6.9‰- 11.64‰= -4.74‰

აგრეთვე, მნიშვნელოვანია საგარეო მიგრაციის სალდო, რომელიც განისაზღვრება იმიგრანტებსა და ემიგრანტებს შორის სხვაობით ყოველ 1000 კაცზე. ეს მაჩვენებელი იაპონიაში დადებითია და შეადგენს 0.74-ს, ე.ი. იმიგრანტების რაოდენობა აჭარბებს ემიგრანტების რაოდენობას.

ვინაიდან იაპონელები ცნობილნი არიან, როგორც „დაბერებული ერი“, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით ისინი მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან. მოცემული მაჩვენებელი გაეროს 2023 წლის მონაცემით 84.95 წელს შეადგენს. „დემოგრაფიული დაბერება“ ხელს უწყობს მოსახლეობაში ახალგაზრდა თაობის ხვედრითი წილის შემცირებას და უფროსი

ასაკის რაოდენობის ზრდას. ეს ყველაფერი იწვევს შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას და პენსიორთა რაოდენობის მომატებას. ასევე, აღინიშნება სიკვდილიანობის ზრდა და შობადობის მკვეთრად შემცირება, რაც მოსახლეობას ამცირებს.



წყარო: CIA.gov, last updated: May 16, 2023, Japan, People and Society.

როგორც ცნობილია, სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის „ნორმალური“ ფორმა დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც გაფართოებულ აღწარმოებას აქვს ადგილი. ხოლო განვითარებულ ქვეყნებში პირამიდის ფორმა დარღვეულია, რადგან შობადობის შემცირებით ხშირ შემთხვევაში უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ახალგაზრდა თაობისა. თუ იაპონიის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას გადავხედავთ, შესამჩნევია, რომ ის ძირიდან ნელ-ნელა ფართოვდება, ე.ი. ახალშობილთა რიცხვს შუახნის და ხანშიშესული მოსახლეობის წილი აჭარბებს. რაც შეეხება სქესს, ხშირად ქალებისა და მამაკაცების რაოდენობაშიც გარკვეული დისბალანსია. დაახლოებით 75-79 წლის ასაკამდე მოსახლეობის სქესობრივი ხვედრითი წილი თითქმის თანაბარია, ხოლო 79 წლის შემდეგ ქალთა რაოდენობა აღემატება მამაკაცების რაოდენობას, რაც მოწმობს, რომ მამაკაცებში უფრო მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ვიდრე ქალებში.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (ეამ) რაოდენობა იაპონიაში წარმოადგენს 68.629 მილიონს 2021 წლის მონაცემებით, რითაც ის მსოფლიოს ქვეყნებს შორის მე-9 ადგილს იკავებს. დასაქმების სტრუქტურა კი შემდეგნაირად ნაწილდება:

სოფლის მეურნეობა	3.1%
მრეწველობა	23.71%
მომსახურება	73.12%



წყარო: statista, , Economic sector distribution of the workforce in Japan 2021, Published by Aaron O'Neill, May 17, 2023

ძირითადი დე-ფაქტო ოფიციალური ენაა იაპონური. ქვეყნის რელიგიური შემადგენლობა კი სამ ძირითად რელიგიურ მიმართულებას მოიცავს: შინტოიზმი (70.5%), ბუდიზმი (67.2%) და ქრისტიანობა(1.5%). მათი საერთო პროცენტული ჯამი 100%-ზე მეტი გამოდის, რადგან ზოგიერთი იაპონელი ერთდროულად ორ რელიგიას მისდევს, მაგალითად, შინტოიზმსა და ბუდიზმს. მაგრამ არსებობს სხვა რელიგიური მიმართულებები, რომლებსაც მცირე რაოდენობის მიმდევარი ჰყავს (5.9%).



წყარო: CIA.gov, last updated: May 16, 2023, Japan, People and Society.

სიმჭირდორვე Worldometer-ის მონაცემით წარმოადგენს 347 კაცი/კმ^2.



წყარო: Japan Map 360^0, Japan Population Density map.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ურბანული მოსახლეობის წილი ძალიან მაღალია (მთლიანი მოსახლეობის 80%-ზე მეტს) წარმოადგენს. გამონაკლისი არც იაპონია აღმოჩნდა, სადაც ურბანიზაციის დონე შეადგენს 91.8%-ს. თუმცა, აღნიშვნას

იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად (2020-2025წწ) ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის წილი -0.25%-ით იკლებს. ძირითადი ურბანული დასახლებებია:

ძირითადი ურბანული დასახლებები	მოსახლეობა (მლნ)
ტოკიო	8,336,599
იოკოჰამა	3,574,443
ოსაკა	2,753,862
ნაგოია	2,191,279
საპორო	1,883,027
კობე	1,528,478
კიოტო	1,459,640

წყარო: World Population Review, Population of Cities in Japan 2023.

თავი 4: მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე ზემოთ ვახსენე, იაპონია საუკუნეების წინ გარე სამყაროსგან იზოლირებულად არსებობდა, რასაც მისი გეოგრაფიული მდებარეობაც უწყობდა ხელს. მას შემდეგ, რაც ამერიკის დახმარებით მოახერხა გახსნილი ურთიერთობებისა და სავაჭრო კავშირების დამყარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, მისი ეკონომიკა და განვითარების დონე სულ უფრო უკეთესობისკენ შეიცვალა. იაპონიამ შესძლო შეექმნა უნიკალური სავაჭრო პროდუქტი, რომლის იმპორტსაც ახდენდა და დიდი შემოსავალი მოეტანა საკუთარი თავისთვის.

შეიქმნა მრეწველობის დარგები, მონოპოლია მოიპოვეს ინდუსტრიის სხვადასხვა დარგში და იაპონელების გარკვეული ნაწილი გაემგზავრა ევროპაში, რათა შეესწავლათ და შემდეგ თავიანთ ქვეყანაში დაენერგათ ყველაფერი საუკეთესო, რაც მათ განვითარებასა და წინსვლას მოუტანდა. მათმა მიზანდასახულობამ შედეგი გამოიღო და მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე მშპ ერთ სულ მოსახლეზე

გაორმაგდა. მათ შესძლეს, რომ იაპონური პროდუქციის რეალიზაცია მსოფლიო ბაზარზე განხორციელებულიყო.

იაპონიის ეკონომიკა, გერმანიის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა. 1960-იან წლებში კი ის აზიის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად, მისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე მაინც საკმაოდ დაბალი იყო (დღევანდელ დოლარებში დაახლოებით 2,600$), რაც უკეთესად, რომ აღვწეროთ, აშშ-ში ერთ სულზე მშპ-ის 1/8 უდრიდა. იაპონელებმა დახვეწეს ტექნიკა და გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, რამაც მათ წინსვლა მოუტანა. 1970-იან წლებში იაპონურმა მანქანებმა აღიარება ჰპოვა ვინაიდან ისინი საწვავის ეკონომიურობით გამოირჩეოდნენ და მაღალი ოსტატობით იყვნენ შექმნილნი. დღესაც, იაპონური მანქანები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ მსოფლიო ბაზარზე.



წყარო: The World Bank, GDP (current US$)-Japan.

ეკონომიკური წარმატების შემდეგ იაპონელებს დაღმავალი გზა შეხვდათ. ეს მოხდა 1990-იან წლებში, როდესაც საფონდო ბირჟამ და უძრავმა ქონებამ კოლაფსი განიცადა. ეს იყო ერთ-ერთი კრიტიკული პერიოდი, სადაც იაპონელებს უდიდეს გაჭირვებაში უხდებოდათ ცხოვრება. ახალგზარდა იაპონელები, რომლებსაც

განათლების მისაღებად საზღვარგარეთ უხდებოდაათ წასვლა, გაოცებულნი რჩებოდნენ, როდესაც ხედავდნენ, სხვა ქვეყნებში ხალხს კურდღლის სოროებში, რომ არ ეძინათ. იაპონელებმა, ვფიქრობ, მიღებული განათლებითა და საზღვარგარეთ განმტკიცებული გამოცდილებით, მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას და თავი დააღწიეს ამ სიდუხჭირეს.

შემდგომ პერიოდში, დაახლოებით 2010 წლისთვის ჩინეთის ეკონომიკური აღზევების შემდეგ იაპონიის ეკონომიკამ ნელ-ნელა უკან დაიწია, ჩინეთი კი მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებდა ეკონომიკის სიდიდით. 1990-2010 წლებში იაპონიის მშპ მცირედ გაიზარდა. ამჟამად, აშშ-ის ყველაზე დიდი საინვესტიციო და სავაჭრო პარტნიორი სწორედ იაპონიაა და აშშ-იაპონიის ორმხრივი ვაჭრობით მიღებული საერთო შემოსავალი დაახლოებით 280 მლრდ დოლარი იყო 2021 წლის მონაცემით.

იაპონია მაღალგანვითარებული ქვეყანაა, რომელსაც მოწინავე სოციალური საბაზრო ეკონომიკა გააჩნია და ეკონომიკის სიდიდით მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს აშშ-ისა და ჩინეთის შემდეგ, თუმცა კოვიდ -19 პანდემიამ არა მხოლოდ იაპონიას, არამედ მთელ მსოფლიოს მოუტანა კრიზისი და დიდი დარტყმა მიაყენა ეკონომიკის სექტორებს.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 41 700$ -2019 წელს, 39 900$ - 2020 წელს, ხოლო 40 800 $-ს შეადგენს 2021 წლის მონაცემის მიხედვით. ამ სტატისტიკითაც ნათლად ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა პანდემიამ ეკონომიკაზე. ხოლო მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 2020 წელს იყო უარყოფითი -4.51%, ხოლო 2021 წელს გახდა დადებითი 1.66%. მშპ (მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი) შეადგენს $5.126 ტრილიონს.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1987 წლიდან (აშშ დოლარებში)



წყარო: Statista, Economy and Politics, Gross domestic product (GDP) of Japan 1987-2027, Published by Aaron O'Neill, May 3, 2023.

მშპ-ის შემადგენლობა სექტორების მიხედვით:

სოფლის მეურნეობა	1.04%
მრეწველობა	29.02%
მომსახურება	69.47%

წყარო: Statista, Didtribution of gross domestic product (GDP) across economic sectors in Japan 2020, Published by Aaron O'Neill, May 24, 2023.

მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მშპ-ს უდიდესი წილი მომსახურების სექტორიდან აქვს.

გარკვეული პარამეტრების უკეთ წარმოსაჩენად გთავაზობთ იაპონიისა და ისრაელის შედარებას, რომელიც განვითარების გზას ადგას და იაპონიის მსგავსად, როგორც ზემოთ ვახსენე, მოახერხა ამერიკული დემოკრატიისა და ეკონომიკის წარმატებით ტრანსპლანტაცია.

თუ ამ თავში ნახსენები პარამეტრებით შევადარებთ მათ, აღსანიშნავია, რომ იაპონია მშპ-ის რაოდენობით ($4,233,538მლნ) თუ ვიმსჯელებთ თითქმის 8-ჯერ

აღემატება ისრაელის მშპ-ს ($488,527მლნ). პირველ მათგანს შედარებით უფრო დინამიური სტატისტიკური გრაფიკი აქვს, ხოლო მეორეს- სტაბილურად და ეტაპობრივად მზარდი გრაფიკი. მიუხედავად იაპონიისთვის მოცემული პარამეტრით უპირატესობისა, მნიშვნელოვანია, რომ ისრაელი მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე ანგარიშით წინ უსწრებს მას. იაპონიის მშპ ერთ სულზე წარმოადგენს $33,731, ხოლო ისრაელის მაჩვენებელი მასზე 1,5-ჯერ მეტია და შეადგენს $52,152. როგორც სტატისტიკებიდან ჩანს, იაპონია დაახლოებით გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იყო მოცემული პარამეტრით წინ უსწრებდა ისრაელს, თუმცა 2017 წლიდან ისრაელმა მოახერხა მისი პოზიციის, პირველი ადგილის დაკავება, ხოლო იაპონიამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი სავაჭრო ბალანსი. ეს მაჩვენებელი ორივე ქვეყნის შემთხვევაში უარყოფითია, თუმცა მათ შორის სხვაობა რა თქმა უნდა თვალშისაცემია. ამ სიტუაციაშიც იაპონიის გრაფიკი საკმაოდ დინამიურია და მუდმივად იცვლება. იყო მომენტები, როდესაც მათი სავაჭრო ბალანსი თითქმის თანაბარი იყო, მაგალითად 2019 წელს. თუმცა 2020 წელს იაპონიამ მოახერხა თავისი მაჩვენებლის გაუმჯობესება და ის გახდა დადებითი, თუმცა 2021 წლის მონაცემით, იაპონიის სავაჭრო ბალანსი უარყოფითია $-12,943.9 მლნ, ხოლო ისრაელის მაჩვენებელია $-30,745.3 მლნ.

თავი 5: მეურნეობის სექტორული ანალიზი

როგორც ვიცით, ეკონომიკა სამი/ოთხი ძირითადი სექტორისგან შედგება:

- პირველად სექტორი - მიეკუთვნება დარგები, რომლებიც უშუალოდ ბუნებრივი რესურსებიდან აწარმოებენ პროდუქციას: სოფლის მეურნეობა, მოპოვებითი მრეწველობა, წიაღისეული და ა.შ.;
- მეორეული სექტორი - მიეკუთვნება დამუშავებითი მრეწველობა, მშენებლობა და სხვა;
- მესამეული სექტორი - მომსახურების სფერო;

- მეოთხეული სექტორი - მესამეული სექტორის ნაწილი, რომელიც ინტელექტსა და ცოდნას ემყარება.

იაპონიაში თითოეული სექტორი საკმაოდ განვითარებულია, თუმცა როგორც უკვე ვიხილეთ მშპ-ს შემადგენლობა სექტორების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ შემოსავალი ქვეყნისთვის მომსახურების სფეროს მოაქვს, ე.ი. მესამეული და მეოთხეული სექტორებია მეტად განვითარებული.

დავიწყოთ სოფლის მეურნეობით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა, მაგრამ აგრარულმა პროდუქციამ ფასების მკვეთრი დაცემა განიცადა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. მოცემული ღირებულება დაახლოებით 25%-ით შემცირდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახებისა და მუშახელის რაოდენობა 50%-ით. რასაკვირველია, ამ პროცესებმა დიდი ასახვა ჰპოვა იაპონიის აგრარულ ინდუსტრიაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოცემული სექტორი ცდილობს რაც შეიძლება მეტად განავითაროს სოფლის მეურნეობა, გაზარდოს მისი პროდუქტიულობა, მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს მსოფლიოს მასშტაბით მოცემულ დარგში, თავიდან აიცილოს ის საფრთხეები, რაც გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება კლიმატის ცვლილებას. მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ იაპონიას სახნავი მიწების დეფიციტი აქვს. ძირითადად მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი და სხვა პარკოსანი მცენარეები. რაც შეეხება მთავარ საჯარო მოთამაშეს, იაპონიაში ესაა სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის სამინისტრო, რომელიც სწორედ აგრარულ სფეროში ავლენს ინტერესებს.

მეთევზეობა იაპონიაში განვითარებული პირველადი სექტორის დარგია, რომელიც ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი შემოსავლის წყაროა. გეოგრაფიული პირობები, რომელიც გამოხატულია 30 000 კმ სიგრძის სანაპირო ზოლით, იძლევა შესაძლებლობას, რომ იაპონიამ წელიწადში დაახლოებით 4,4 მლნ ტონა თევზი აწარმოოს. თევზჭერა ქვეყნის კულტურის განუყოფელი ნაწილია, თუმცა სტიქიური უბედურებები მასზეც უშუალო გავლენას ახდენენ. მაგალითად, 2011 წელს მომხდარი აღმოსავლეთ იაპონიის დიდი მიწისძვრა გახდა მიზეზი იმისა, რომ დღემდე ინდუსტრიის ეს დარგი პერიოდულად რადიოაქტიური

დაბინძურებული წყლები ზეგავლენის ქვეშაა, რაც ხელს უწყობს გამომუშავების შემცირებას.

აგრეთვე, პირველად სექტორს მიეკუთვნება სატყეო მეურნეობა. იაპონიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 2/3, ტყით არის დაფარული. ქვეყანა დიდხანს ახორციელებდა ხის მასალების იმპორტს საზღვარგარეთიდან, მაგრამ მიხვდნენ, რომ თავადაც აქვთ შესაძლებლობა სატყეო მეურნეობის განვითარებისა. ისინი აქტიურად რგავენ ხეებს. შემოსავალი 2019 წელს ინდუსტრიის ამ დარგიდან დაახლოებით 500 მლრდ იენი იყო. ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, რომ სატყეო მეურნეობა მზარდ ინდუსტრიად აქციოს.

რუკაზე ნაჩვენებია ტერიტორიები, სადაც მოჰყავთ ესა თუ ის კულტურა. ასევე, ის არეალები, სადაც ხორციელდება თევზჭერა.



წყარო: Maps Japan, Japan agriculture map.

აღნიშვნას იმსახურებს ფაქტი, რომ იაპონია მსოფლიოში ქაღალდისა და მუყაოს წარმოებით მესამე ქვეყანაა. მაგრამ ეს დარგი ნელ-ნელა გარდაქმნას განიცდის, რადგან ტექნოლოგიების მაღალ დონეზე განვითარებამ ქაღალდის დიდი რაოდენობით საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თუმცა მოთხოვნა იზრდება ნანოტექნოლოგიებზე.

მეორეული დარგებიდან განვითარებულია მშენებლობა და არქიტექტურა. ამ უკანასკნელმა გავლენა მეზობელი ქვეყნების კულტურებიდან- ჩინეთიდან, კორეიდან და დასავლეთუდან - მიიღო. დასავლური კულტურიდან მან გადმონერგა აგურისა და ქვების გამოყენება არქიტექტურაში. იაპონელები ძირითადად იყენებენ ხის მასალას მშენებლობის დარგში. გამომდინარე იქიდან, რომ იაპონია წყნაროკეანური ცეცხლოვანი რკალის არეალში მდებარეობს, ხშირია მიწისძვრებისა და ცუნამების წარმოქმნის საშიშროება. ამიტომ, ისინი მშენებლობის პროცესს დიდ ყურადღებას აქცევენ, რადგან იმდენად მყარი საცხოვრებელი სახლები უნდა აშენდეს, რომ გაუძლოს მაღალბალიან მიწისძვრებსაც. ეს გამოცდილება მათ 2011 წელს მომხდარი მიწისძვრიდან შეიძინეს. განსაკუთრებით ტოჰოკუს რეგიონში, სადაც მოხდა ხსენებული მიწისძვრა, მთავრობის მიერ ხშირად ხორციელდება წამახალისებელი საზოგადოებრივი სამუშაო პროექტები, რომელიც ეკონომიკის წინსვლასაც ხელს უწყობს. აგრეთვე, ყურადღება ექცევა ეკო კონსტრუქციას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: იაპონიაში მიწას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იმაზე დიდი, ვიდრე სახლებს. სამშენებლო მასალებისა თუ ელექტროენერგიის არასწორმა მოხმარებამ შესაძლოა არასასურველი შედეგები მოიტანოს და გარემოზე ისეთივე უარყოფითი ასახვა ჰპოვოს, როგორც დაგროვილმა ნარჩენებმა. ამიტომ, 2001 წელს ჩამოყალიბდა შეფასების სისტემა, რომელიც შეაფასებს თუ რამდენად ეკოლოგიურად ეფექტურია ესა თუ ის შენობა. ეს სისტემა შემუშავებულ იქნა მიწის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ტურიზმის სამინისტროს კომიტეტის მიერ.

იაპონიაში ტრანსპორტის ყველა სახეობაა განვითარებული. მათ შორის დიდი ადგილი უკავია აერონავტიკის სექტორს. ის წარმოადგენს ტრანსპორტირებისა და

დისტრიბუციის ისეთ საშუალებას, რომელიც დიდი მოთხოვნით და ეფექტურობით სარგებლობს. მას გააჩნია კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ მაინც ცდილობენ, გაზარდონ თანამშრომლობა მსოფლიოს მასშტაბით. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სექტორის ჩართულობა ფოკუსირებულია აშშ-ზე. იაპონიაში ევროპულ აერონავტიკის კომპანიებს დიდ პატივს სცემენ. საკმაოდ მნიშვნელოვანი კავშირები დამყარდა იაპონურ და ევროპულ კომპანიებს შორის და მომავალშიც იგეგმება ევროკავშირის ქვეყნების აერონავტიკის კომპანიებთან თანამშრომლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ იაპონია კუნძულოვანი ქვეყანაა და მას გარშემო ზღვები აკრავს, გააჩნია მაღალგანვითარებული საზღვაო სექტორი და საზღვაო ტრანსპორტი. ისინი მაღალი ხარისხითა და დახვეწილობით გამოირჩევიან. იაპონია მსოფლიოში მესამე ყველაზე დიდ გადამზიდავ ქვეყანას წარმოადგენს. მას წინ უსწრებს ჩინეთი და საბერძნეთი. ქვეყანა ფლობს 102 მთავარ პორტს, აგრეთვე 22 საერთაშორისო მნიშვნელობით სტრატეგიულ პორტს. იაპონია მსოფლიოში საკმაოდ მსხვილი და ძლიერი საზღვაო მოვაჭრეა. მიუხედავად იმისა, რომ გემთმშენებლობა მაღალ დონეზეა ქვეყანაში, სამუშაო ძალას ძირითადად ხანში შესული ადამიანები ან უცხოელი მუშახელი შეადგენს. ახალგაზრდები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი საზღვაო სექტორით.

იაპონიის საავტომობილო სექტორში 5 მლნ-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული და მისი ღირებულება დაახლოებით 47 ტრილიონ იენს შეადგენს. აქ წარმოებულ ავტომობილებს მისთვის დამახასიათებელი უნიკალურობა გააჩნია. იაპონიაში დიდი ყურადღება ექცევა გარემოსა და ეკოსისტემას, მათ დაცვას. ამიტომ, ისინი მუდმივად ცდილობენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები გარემოს უსაფრთხოებას მოარგონ. იაპონიის საავტომობილო სექტორი, მსგავსად სხვა სექტორებისა, აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ქვეყნებთან. იაპონური ავტომობილები დიდი პოპულარობით სარგებლობს. საავტომობილო ფირმებიდან გაყიდვების დიდი რაოდენობით გამოირჩევა TOYOTA, SUZUKI, HONDA, LEXUS, MAZDA, და ა.შ.

სარკინიგზო ტრასნპორტი არანაკლებ განვითარებულია იაპონიაში. ის გამოირჩევა თავისი დახვეწილობით, სისწრაფით, მაღალი სტანდარტებითა და პუნქტუალურობით. ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში დიდი ადგილი დაიკავა გარემოს დაცვითმა საკითხებმა, რკინიგზა ეკოლოგიურად ერთ-ერთ უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებად ითვლება. იაპონიის მთავრობა მიიჩნევს, რომ საჭიროა ინფრასტრუქტურის ექსპორტის გაზრდა, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში.



იაპონიის სარკინიგზო რუკა/https://japanmap360.com/japan-train-map

მესამეული სექტორიდან საუბარს დავიწყებ ტურიზმით. ტურიზმის სექტორი დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო მეტად ვითარდება იაპონიაში. მას მზარდი ხასიათი გააჩნია და ტურისტების ნაკადები 30 მლნ-ზე მეტ ადამიანს ითვლის წელიწადში, მაგრამ კოვიდ -19 პანდემიამ სტატისტიკა ბოლო 3 წლის მანძილზე საგრძნობლად შეამცირა. თუ 2019 წლამდე ტურისტთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 32 მლნ-ს შეადგენდა, 2021 წელს ის 245 ათასამდე დაეცა.

ეს რა თქმა უნდა ეკონომიკისთვის დიდი დარტყმა იყო, რადგან ტურიზმის ინდუსტრია ქვეყნისთვის დიდი შემოსავლის წყაროა. იაპონიას უნიკალური კულტურა, ბიომრავალფეროვნება, ტრადიციები, ღირსშესანიშნაოებები გააჩნია და ტურისტებისთვის მიმზიდველ ქვეყანას წარმოადგენს. თუმცა პანდემიასაც ჰქონდა თავისი დადებითი გავლენა ტურიზმის სექტორზე, რადგან მასში გარკვეული გადაფასება მოხდა. საფუძველი ჩაეყარა იაპონიაში მდგრადი ტურიზმის განვითარებას და სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციას.



წყარო:https://www.tourism.jp/en/tourism-database/stats/inbound/

დიაგრამაზე აღნიშნულია იაპონიაში ჩასული ტურისტების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით (პირველი ათეული). არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიზიტორების ძირითადი ნაკადი არის სამხრეთ კორეადან, აშშ-დან, ტაივანიდან, ჰონგ-კონგიდან.

იაპონიაში ჯანდაცვის სექტორი საგრძნობლად განვითარდა და ერთ-ერთი მოწინავე გახდა მსოფლიოში. ჯანდაცვისა და მედიცინის სფეროს წინსვლამ ხელი შეუწყო სწორედ სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატებას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალი 37 ქვეყნიდან

იაპონიას ყველაზე მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2021 წელს ჰქონდა, მსოფლიო ბანკის მონაცემით 84 წელი.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2018-2021 წლებში.

2018 წელი	84
2019 წელი	84
2020 წელი	85
2021 წელი	84

წყარო: The World Bank, Life Expactancy at birth, total (years)-Japan.

მოცემულ სექტორს გააჩნია უნივერსალური ხელმისაწვდომობა და საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა. მათი მიზანი არის ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და შშმ პირებს, მოხუცებს, სხვა მოქალაქეებთან ერთად შეეძლებათ სრულფასოვანი და ხანგრძლივი თანაცხოვრება. ჯანდაცვაში ჩართულნი არიან ისეთი სახელმწიფო უწყებები, როგორიცაა ჯანმრთელობის, შრომისა და კეთილდღეობის სამინისტრო, სოციალური უსაფრთხოების საბჭო, ცენტრალური დაზღვევის სამედიცინო საბჭო, ფარმაცევტული და სამედიცინო მოწყობილობების სააგენტო. მართალია, იაპონიაში ჯანდაცვის სფერო მაღალ დონეზეა, მაგრამ სამხრეთ კორეა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მოწინავე ადგილს იკავებს მსოფლიოში. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის სამედიცინო სფეროს დიდი გამოწვევები ჰქონდა კოვიდ-19 პანდემიის დროს და მის შემდგომ პერიოდში. ამ ყველაფერს დაემატა იაპონიის დემოგრაფიული პროფილიც, რომელიც დაბალი შობადობითა და მოსახლეობის მზარდი დაბერებით ხასიათდება. გარკვეულ გავლენას ახდენს ისიც, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში მცირდება, ხოლო პენსიონერთა რიცხი იზრდება; ასაკობრივ ჯგუფებში დისბალანსი შეინიშნება. ეს ფაქტიც დიდ გამოწვევას წარმოადგენს ვინაიდან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.

დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, იაპონიაშიც მედია ინდუსტრია გარდაქმნებს განიცდის. მას შემდეგ, რაც ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ინტერნეტმა, სოციალურმა თუ მედია პლატფორმებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი ადამიანთა ცხოვრებაში და მედიაში, ჟურნალ-გაზეთებმა თანდათანობით დაკარგეს აქტუალურობა. ევროპული და ამერიკული ინდუსტრიებისგან განსხვავებით, იაპონიაში ეს დარგი კლებას განიცდის, თუმცა უიმედო მდგომარეობისგან შორსაა. იაპონიაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბეჭდური მედია საკმაოდ პოპულარულია, რაც განპირობებულია იაპონიის უნიკალური კულტურით. მედია ინდუსტრიის კლების ტენდენციები განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ ის თაობა, რომელიც დაინტერესებულნი იყვნენ ჟურნალ-გაზეთებით, თითქმის აღარ არსებობს.

იაპონიის ძირითადი პარტნიორები არიან ჩინეთი, სამხრეთ კორეა, აშშ, ტაივანი, ტაილანდი.

თავი 6: ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში

სხვადასხვა ინდექსების საშუალებით, რომლებიც გამოიყენება ინდიკატორებად გლობალურ სისტემებსა თუ სტრუქტურებში, საჭიროა დავიწყოთ იაპონიის შეფასებაც და დავადგინოთ თუ რა ადგილს იკავებს ის მსოფლიოს მასშტაბით.

პირველ რიგში, ქვეყნის შეფასება დავიწყოთ ჰუმანური განვითარების ინდექსით (ჰგი), რომელიც მოიცავს საკმაოდ მნიშვნელოვან ასპექტებს. ის ითვალისწინებს:

- ეეპ-ს მოცულობას ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით აშშ დოლარებში;
- სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგრძლივობას;
- მოსახლეობაში მიღწეულ განათლების დონეს.

ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, იაპონია ძალიან მაღალი ჰუმანური განვითარებით ხასიათდება, ვინაიდან მისი ჰგი შეადგენს 0,925-ს. მსოფლიოს ქვეყნებს შორის ის მე-19 ადგილს იკავებს. 1990 წლიდან 2021 წლამდე იაპონიის ჰგი გაზრდილია 9.5%-ით; მატებას განიცდის ასევე სიცოცხლის მოსალოდნელი

ხანგრძლივობაც, ხოლო ეეპ მოცემული პერიოდის განმავლობაში 18.8%-ით შეიცვალა.

მონაცემების უკეთ წარმოსაჩენად იაპონია შევადაროთ მისი ტერიტორიული წყლებით მოსაზღვრე ჩინეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას.



წყარო: Human Development Reports, Human Development Index (HDI), Japan, Data updates as of September 8th,2022

როგორც ვიცით, ჩინეთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა, თუმცა ჰგი-ს მაჩვენებლით ის იაპონიასა და რუსეთს საგრძნობლად ჩამორჩება და რეიტინგში 79-ე ადგილს იკავებს, ხოლო რუსეთი 52-ე-ს. იაპონიისა და ჩინეთის ჰგი მზარდ განვითარებას განიცდის, თუმცა რუსეთის ფედერაციის მაჩვენებელი 2018 წლიდან ნელ-ნელა იკლებს. მისი ზემოთხსენებული ორი ინდიკატორი უცვლელია, თუმცა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შემცირდა, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ჰგი-ზე. ამის მიუხედავად, მას კვლავ ძალიან მაღალი ჰგი გააჩნია.

დემოკრატიის ინდექსი არის ის ინდიკატორი, რომელიც აფასებს დემოკრატიის დონეს ქვეყნებში და ემყარება 5 ძირითად ასპექტს:

- მოქალაქეთა თავისუფლება;
- მთავრობის ფუნქციონირება;
- პოლიტიკური კულტურა;
- პოლიტიკური ჩართულობა;
- პლურალიზმი.

მათზე დაყრდნობით, არსებობს სრული/ არასრული დემოკრატია, ავტორიტარული რეჟიმი და ჰიბრიდული რეჟიმი. იაპონიას აქვს 0.857 ქულა, რითაც ის 25-ე ადგილს იკავებს და მოხვედრილია სრული დემოკრატიის კატეგორიის ქვეყნებში, ხოლო რუსეთი მაჩვენებლით 0.262 (ზომიერი ავტოკრატია) არის 144-ე, ჩინეთი მაჩვენებლით 0.048 (მძიმე ავტოკრატია) კი -172-ე ადგილზე.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოვიდ- 19 პანდემიამ გამოიწვია გლობალური დემოკრატიის ვარდნა. დაავადებების კონტროლის გამო მიღებულმა მკაცრმა ზომებმა და „ჩაკეტვამ“ ხელი შეუწყო სამოქალაქო თავისუფლებების მასიური მასშტაბების გაუქმებას. აღნიშნულმა ფაქტმა ქულებზე უარყოფითი გავლენა იქონია და მათი შემცირება გამოიწვია ქვეყნების უმრავლესობაში. მხოლოდ 38-მა ქვეყანამ მოახერხა ქულის გაუმჯობესება. გლობალური დემოკრატიული ინდექსი მანამდე არნახულ მაჩვენებელზე დაეცა 5,44-დან 5,37-მდე. მსოფლიოს მოსახლეობის მესამედზე მეტი ავტორიტარული რეჟიმის ქვეშაა და მათი დიდი ნაწილი სწორედ ჩინეთში ცხოვრობს. იაპონიამ ბოლო რამდენიმე წელიწადში მოახერხა არასრული დემოკრატიიდან სრული დემოკრატიის კატეგორიაში გადასვლა.

არსებობს აგრეთვე ჯინის ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ ნაწილდება შემოსავლები ქვეყნის მოსახლეობაში, ე.ი. მისი საშუალებით განისაზღვრება მატერიალური სიმდიდრის განაწილება სოციალურ ფენებს შორის. რაც უფრო უახლოვდება ეს მაჩვენებელი 100-ს, მით უფრო არათანაბრად არის განაწილებული შემოსავალი მოსახლეობაში.

იაპონიაში ჯინის კოეფიციენტი 32.9-ს შეადგენს, რაც საშუალო დონის მაჩვენებელია, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში გარკვეულწილად მაინც აქვს ადგილი უთანასწორობას, კერძოდ, მდიდარი სოციალური ფენის წარმომადგენლები მეტ კონტროლს ახორციელებენ არსებულ რესურსებზე, ვიდრე ღარიბი მოსახლეობა. ის ამ მაჩვენებლით 116-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს მასშტაბით.

ჩინეთში ჯინის კოეფიციენტი 38.2-ია, რითაც მსოფლიოში ის 68-ე ადგილზეა. ქვეყანა მაღალი ეკონომიკური უთანასწორობით ხასიათდება, რაც გულისხმობს სხვაობას ყველაზე მაღალი და დაბალი შემოსავლის მქონე სოციალურ ფენებს შორის. ეს ყველაფერი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული:

- მოსახლეობის დიდი რაოდენობა;
- ეკონომიკის არათანაბარი განვითარება;
- ურბანიზაციის მაღალი დონე;
- მოსახლეობის დაბერების ტენდენცია, და ა.შ.

რუსეთს 36, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩინეთის მსგავსად, მაგრამ იაპონიისგან განსხვავებით, რუსეთი მაღალი ეკონომიკური უთანასწორობით ხასიათდება, რაც გულისხმობს მდიდრებსა და ღარიბებს შორის უდიდესი ღრმული გაჩენას. ისევე, როგორც ჩინეთში, რუსეთშიც აქვს ამ უთანასწორობას გამომწვევი მიზეზები. პირველ რიგში, დავიწყოთ პოლიტიკური კორუფციითა და ბიუროკრატიით, რომელმაც ვერ შესძლო, შემოსავლების ეფექტურად განაწილება მოეხდინა მოსახლეობაში. ასევე, უდიდესი გავლენა მოახდინა უმუშევრობის დონის ზრდამ არაეფექტური ეკონომიკის გამო. არ უნდა გამოგვრჩეს, ინფლაციის ზრდაც. ამ და კიდევ სხვა მიზეზებმა განაპირობეს რუსეთში ჯინის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი, რაც შესაძლოა უარესობისკენ წავიდეს, თუ ხელისუფლება საჭირო ზომებს არ მიიღებს.

აღნიშნული გამომწვევი მიზეზები ეკონომიკური უთანასწორობისა მოცემულ ქვეყნებში მიუთითებს იმასაც, რომ იაპონიაში უთანასწორობის ეს განმაპირობებელი ფაქტორები დაძლეული და მოგვარებულია. სწორედ სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა უქმნის საფუძველს ქვეყნის მზარდ განვითარებას და პირიქით, მზარდი განვითარება სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის წინაპირობაა.

თავი 7: გამოყენებული ლიტერატურა

1) unep.org/Great East Japan Earthquake and tsunami,https://www.unep.org/explore-topics/disasters-conflicts/where-we-work/japan;
2) CIA World Factbook, https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/japan/;
3) ka.wikipedia.org/https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90;
4) Tofugu/The Ainu/November 8, 2013/https://www.tofugu.com/japan/ainu-japan/;
5) Michael G. Roskin, Countries and Concepts: politics, geography and culture/ -12th ed, pg. 177,179,181,203.
6) eu.japan.eu/Regions and Prefectures. https://www.eu japan.eu/eubusinessinjapan/about-japan/regions-prefectures;
7) National Geographic/ Japan/ History; https://kids.nationalgeographic.com/geography/countries/article/japan;
8) Worldometers.info/Japan Population, https://www.worldometers.info/world-population/japan-population/;
9) World Population Review/Population of Cities in Japan 2023/ https://worldpopulationreview.com/countries/japan-population;
10) Statista.com/ Gross domestic product (GDP) of Japan 1980-2028, Published by Aaron O'Neill, May 3, 2023/ https://www.statista.com/statistics/263578/gross-domestic-product-gdp-of-japan/;
11) worldbank.org/ GDP (current US$)-Japan/ https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=JP;
12) Human Development Reports/Human Development Index (HDI)/ https://hdr.undp.org/data-center/specific-country-data#/countries/JPN;
13) Statista.com/ Gross domestic product (GDP) per capita in Japan 1987-2028, Published by Aaron O'Neill, April 21, 2023, https://www.statista.com/statistics/263596/gross-domestic-product-gdp-per-capita-in-japan/
14) International Monetary Fund/ Japan's Digitalization Can Add Momentum for Economic Rebound/ by Piyaporn Sodsriwiboon, Purva Khera, and Rui Xu/June1, 2022/ https://www.imf.org/en/News/Articles/2022/05/31/CF-Japan-Digitalization-Can-Add-Momentum-for-Economic-Rebound;
15) International Trade Administration/Japan- Country Commercial Guide/Market Overview/ https://www.trade.gov/country-commercial-guides/japan-market-overview;
16) eu.japan.eu/ Sectors/ https://www.eu-japan.eu/eubusinessinjapan/sectors;

17) tourism.jp/Overseas Residents' Visits to Japan by Country and Region/ https://www.tourism.jp/en/tourism-database/stats/inbound/;
18) worldbank.org/https://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.LE00.IN?locations=JP
19) World Population Review/Gini Coefficient by Country 2023/ https://worldpopulationreview.com/country-rankings/gini-coefficient-by-country
20) eiu.com/Covid-19 pandemic causes a global democracy slump/Joan Hoey, Tue, 02nc Feb 2021/ https://www.eiu.com/n/covid-19-pandemic-causes-a-global-democracy-slump/
21) democracymatrix.com/ https://www.democracymatrix.com/ranking
22) wisevoter.com/Gini Coefficient by Country/ https://wisevoter.com/country-rankings/gini-coefficient-by-country/#japan
23) WorldAtlas.com/What are the major natural resources of Japan?/ https://www.worldatlas.com/articles/what-are-the-major-natural-resources-of-japan.html
24) Ministry of the Environment, The Wildlife in Japan, Edited and published by: Wildlife Division, Nature Conservation Bureau Editorial work: Japan Wildlife Research Center, Tokyo, Japan, Published in March 2015.
25) statista.com/Japan: Distribution of gross domestic product (GDP) across economic sectors from 2010 to 2020/ https://www.statista.com/statistics/270093/distribution-of-gross-domestic-product-gdp-across-economic-sectors-in-japan/
26) stats-japan.com/Population Density/ https://stats-japan.com/t/kiji/13400
27) countryeconomy.com/https://countryeconomy.com/countries/compare/israel/japan
28) ka.petmypet.ru/ https://ka.petmypet.ru/2403-natural-resources-of-japan.html